დანართი №1

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:
სახელი, გვარი: შორენა ალაგარდაშვილი

წევრები:
სახელი, გვარი: ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი
I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 226157379

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 4 ივნისის № 669655 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლაში, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით. მონიტორინგი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე და მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამის – „Front-end დეველოპმენტი" – ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტისა და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შესრულების გადამოწმებას. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი და 2026 წლის 15 ივნისს განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლაში (მისამართი: ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა წაღვერი, დავით აღმაშენებლის ქ. №25). ვიზიტი განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მეთოდოლოგიები, შესაბამისი დოკუმენტაცია და დანერგილი პრაქტიკა. ასევე ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის შედეგები ასახულია დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

N	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის აღწერა	ინფორმაცია შესრულების შესახებ
4.1.1.1.	დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 4.1.1.1. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა/გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის 13.06.25 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ 4.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განახორციელა ორგანიზაციულ სტრუქტურაში შემავალი პოზიციების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრა, ასევე პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისობაში მოყვანა. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით გამოვლენილი ხარვეზი აღმოფხვრილია.
4.1.1.2	დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალური იხ. 4.1.1.2. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება, დაწესებულების დირექტორის 13.06.25 წლის N47 სამართლებრივი	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ 4.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დირექტორის 13.06.2025 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, უზრუნველყო სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.	პასუხისმგებლობების გადანაწილება. შედეგად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია და ხარვეზი აღარ იკვეთება.
2.2.1.1.	დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.1. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, დაწესებულების დირექტორის 13.06.25 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე დათვალიერებისა და შესყიდვების დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, დადასტურდა, რომ დაწესებულებამ 2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დირექტორის 13.06.2025 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად, უზრუნველყო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა. შედეგად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია და შესაბამისი ხარვეზი აღარ იკვეთება.
2.2.1.3	დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.3. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის განვითარება, დაწესებულების დირექტორის 13.06.25 წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებას გადადგმული აქვს ნაბიჯები პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის განვითარების მიმართულებით, მათ შორის, პერსონალის ტრენინგებში მონაწილეობით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია
2.2.1.5	დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან (დეტალურად იხ. 2.2.1.5. ინდიკატორის აღწერაში). რეკომენდაცია: ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება, დაწესებულების დირექტორის *13.06.25* წლის N47 სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებამ გაატარა საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები და უზრუნველყო შესაბამისი ელექტრონული რესურსის ხელმისაწვდომობა როგორც სკოლის ბიბლიოთეკის კომპიუტერის საშუალებით, ისე თითოეული მოსწავლისათვის ფლეშ-მეხსიერებით მიწოდების ფორმით. შესაბამისად, 2.2.1.5 ინდიკატორთან დაკავშირებული ხარვეზი აღმოფხვრილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა
არ გამოვლენილა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2.2	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაციები არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებას მიეცა შემდეგი რეკომენდაცია:

2.2.1.3 ინდიკატორი *- დაწესებულებამ გააგრძელოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიზნობრივი გადამზადება და უზრუნველყოს მათი მუდმივი ინფორმირებულობა პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ.*

2.2.1.4. ინდიკატორი *- დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა განაგრძოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სპეციფიკისა და შეფასების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხიანი განვითარებისა და განხორციელების პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებას.*

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია სრულად იზიარებს და ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რომელიც მომზადდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 4 ივნისის №669655 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 15 ივნისს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შედეგად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

წინა ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ მიუხედავად იმისა, სკოლას დირექტორის 04.06.2025 წლის N32 ბრძანებით დამტკიცებული ჰქონდა „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, პროფესიულ განათლებასთან მიმართებით სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები საჭიროებდა დამატებით დაზუსტებასა და უფრო მკაფიო გამიჯვნას.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული მიმართულებით გაატარა შესაბამისი ღონისძიებები: წარმოადგინა განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული პოზიციების ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები კერძოდ:

1. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
2. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი
3. საქმისმწარმოებელი
4. შესყიდვის სპეციალისტი
5. რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი
6. პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესიული განათლების მასწავლებელი; ამასთან, წარმოდგენილი ხელშეკრულებების შესწავლით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების სახელშეკრულებო ვალდებულებები შესაბამისობაშია მათთვის განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებთან. აღნიშნული გარემოებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადასტურებს, რომ პროფესიულ განათლებასთან მიმართებით სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განსაზღვრის მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.1 - დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

წინა ვიზიტის დროს დაფიქსირდა, რომ მიუხედავად იმისა, სკოლას დირექტორის 04.06.2025 წლის N32 ბრძანებით დამტკიცებული ჰქონდა „პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მკაფიოდ იყო გაწერილი და სხვადასხვა პოზიციაზე განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდებოდა, პროფესიულ განათლებასთან მიმართებით არსებული სტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფდა ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად განხორციელებას.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ პროფესიულ განათლებასთან მიმართებით დააზუსტა და უფრო მკაფიოდ გადაანაწილა ფუნქციები და პასუხისმგებლობები შესაბამის პოზიციებს შორის. წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობებით გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის, საქმისმწარმოებლის, შესყიდვის სპეციალისტის, რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო შესწავლილი ხელშეკრულებებით გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების ვალდებულებები შეესაბამება მათთვის განსაზღვრულ ფუნქციებს. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება მეტად უწყობს ხელს პსდ-ის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.2 - დაკმაყოფილებულია.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება სკოლის დირექტორის 13.06.2025 წლის N49 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. ამავე დროს, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ მარეგულირებელი დოკუმენტი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობას. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობა მიმართულია სასწავლო საქმიანობის, მეთოდების, რესურსებისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და მის განვითარება-განახლებაზე ზრუნვისკენ. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს მონიტორინგის, გამოკითხვების, ანგარიშგებისა და შედეგებზე დაფუძნებული გაუმჯობესების პრაქტიკას, რაც ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ობიექტურ განხორციელებას უწყობს ხელს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.3 - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვა მყარად ეფუძნება მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების სინთეზს.. მთავარ ორიენტირს წარმოადგენს დირექტორის 04.06.2025 წლის N31 ბრძანებით ძალაში შესული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა, რომელიც აწესრიგებს დასაქმებულთა სამუშაო ციკლის ყველა ფაზას: გამჭვირვალე შერჩევიდან და ორგანიზაციული ადაპტაციიდან დაწყებული, შესრულებული სამუშაოს ვალიდური შეფასებითა და წახალისების სისტემებით დასრულებული.

ინსტიტუციური გამჭვირვალობის სტანდარტს მოწმობს ის გარემოება, რომ აღნიშნული მარეგულირებელი ჩარჩო და შინაგანაწესი პროაქტიკულად არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის როგორც ციფრულ სივრცეში (ვებგვერდი), ისე ფიზიკურ ტერიტორიაზე (საინფორმაციო დაფა). შესაბამისად, შიდა პროცესები სრულად თავსებადია სტანდარტებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.1 - დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებაში მოქმედი საკადრო პოლიტიკა ორიენტირებულია კვალიფიციური რესურსის მოზიდვაზე, რაც მიიღწევა მიუკერძოებელი მიდგომის გამოყენებით. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით, შერჩევის პროცესი მოკლებულია სუბიექტურობის რისკებს და მოიცავს ვალიდურ მეთოდოლოგიებს (კომპეტენციებზე დაფუძნებული გასაუბრება, ტესტირება და კონკურსის სხვა ფორმები).

საკადრო საჭიროებების იდენტიფიცირებისას კოლეჯი ეფექტიანად აბალანსებს შიდა რესურსს (არსებული საკადრო ბაზის ოპტიმიზაცია). დაწესებულების საკადრო პოლიტიკა ხასიათდება დინამიურობით; რეგიონული გამოწვევებიდან გამომდინარე, კოლეჯი პროაქტიულად ახორციელებს ადგილობრივი ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებულ უკუკავშირს, რაც მიზნობრივად აისახება ახალი, სპეციფიკური კომპეტენციების მქონე კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.2 - დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

პერსონალის შესაბამისობა დაკავებულ პოზიციებთან გარანტირებულია მკაფიო სტრუქტურული დიფერენციაციით. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის მიერ დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტი, რომელიც თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრავს კრიტერიუმებს: პოზიციებისთვის სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის მინიმალური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დონე, პროფესიული გამოცდილება, ტექნიკური უნარები, ენის ფლობა და საჭირო საკანონმდებლო აქტების ცოდნა. დოკუმენტაციის შესწავლით გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციული პერსონალი. წაღვერის სკოლაში პროფესიული განათლების მიმართულება დაკომპლექტებულია აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა თანამშრომელთა პირადი საქმეების დეტალური შესწავლა, რამაც სრულად დაადასტურა ინდიკატორის მოთხოვნის ფაქტობრივი შესრულება. პირად საქმეებში დაცულია კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტი (დიპლომები, სერტიფიკატები, ცნობები). აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ პერსონალის რეალური კომპეტენცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3 - დაკმაყოფილებულია.

4. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის.**

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა ეყრდნობა მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. აღნიშნული დოკუმენტი ორიენტირებულია ორგანიზაციული კულტურის განმტკიცებაზე, პერსონალის საერთო მიზნების ირგვლივ კონსოლიდაციასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სამუშაო გარემოს განვითარებაზე. დაწესებულების პრაქტიკაში გამოიყენება სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობას. ამასთანავე, გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა დასტურდება როგორც სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებით, ისე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის საქმიანობით. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია მონაწილეობითობასა და გუნდურ თანამშრომლობაზე. ამ პროცესში მკაცრად აქვთ დაცული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირთან ინტერესთა კონფლიქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.4 - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დაწესებულების შინაგანაწეს
- პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა
- პერსონალის პირადი საქმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა წაღვერი, დავით აღმაშენებლის ქ. N25
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	30
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

წინა ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ შედეგები მიიღწეოდა დაწესებულების A და B ტიპის სასწავლო გარემოში დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით, თუმცა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი სრულად არ იყო სკოლის მფლობელობაში.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის სრულად შეძენა. ადგილზე დათვალიერებისა და შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ შესაბამისი რესურსი დაწესებულებაში ხელმისაწვდომია და პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ზღვრული ოდენობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო სამუშაო გარემო და ავეჯი: ყველა მოდულისთვის (როგორც A, ისე B ტიპის სასწავლო გარემოში) უზრუნველყოფილია სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო ადგილები, სადემონსტრაციო მაგიდა და შესანახი კარადა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ტექნიკური და ციფრული აღჭურვილობა: პროგრამის ტექნიკური კომპონენტების განხორციელებისთვის, კერძოდ ვებგვერდის შექმნის, სტილიზაციის, JavaScript/TypeScript/React-ის, ოპტიმიზაციისა და Git-ის მოდულებისათვის, არსებობს შესაბამისი სპეციფიკაციის კომპიუტერები (სტუდენტზე და სასწავლო გარემოზე), სმარტ დაფა, პრინტერი (კომბაინი), ფლეშ მეხსიერება და საკლასო დაფა. დარგობრივი ინგლისური და ხელოვნური ინტელექტის მოდულისთვის დამატებით უზრუნველყოფილია დემონსტრირების ციფრული საშუალება.

სასარგებლო მასალები: პროგრამის ყველა მოდულისათვის ხელმისაწვდომია საჭირო სახარჯი მასალა: მარკერი/ცარცი, საშლელი, კარტრიჯი და ქაღალდი.

აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგადაც, რომელთა მიხედვით პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსები და სასწავლო გარემო მათთვის ხელმისაწვდომია და რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.1 - დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დოკუმენტური შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „Front-end დეველოპმენტი“ განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (მათ შორის ორი დარგობრივი მოდული მასწვლებელი), კვალიფიკაცია და მათი საათობრივი დატვირთვის სქემა სრულად და სტაბილურად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის გრძელვადიან მდგრადობასა და უწყვეტობას.

ადამიანური რესურსის დაგეგმვის არსებული მოდელი მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებას გააჩნია პროგრამის ეფექტურად და შეუფერხებლად წარმართვისთვის საჭირო ოპტიმალური პოტენციალი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არის დაბალანსებული, რაც სრულად გამორიცხავს სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.2 - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

წინა ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეული პირები შესაბამის კვალიფიკაციას ფლობდნენ, თუმცა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სწავლებისა და შეფასების კომპეტენციის განვითარების მიმართულებით საჭირო იყო შემდგომი მხარდაჭერა და გაძლიერება.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით დაწესებულებამ განახორციელა შესაბამისი აქტივობები. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პერსონალმა მონაწილეობა მიიღო პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების ტრენინგებში. კერძოდ, გაიარეს ტრენინგი თემაზე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და მართვის სტრატეგიები და მექანიზმები", აგრეთვე ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებაზე ორიენტირებული შესავალი ტრენინგი შესაბამის დარგობრივ მიმართულებებში. აღნიშნული დასტურდება მონიტორინგის პროცესში წარმოდგენილი, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გაცემული სერტიფიკატებით. ამასთან, პერსონალთან, მათ შორის პროფესიულ მასწავლებლებთან, ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადასტურდა სწავლების მიმართულებით განხორციელებული გადამზადების შედეგებიც; მასწავლებლებმა ისაუბრეს სასწავლო პროცესისთვის მომზადების პრაქტიკაზე, მოდულების გაცნობასა და კალენდარული გეგმების შემუშავებაზე. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან გამოთქმული იქნა სურვილი და მზადყოფნა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მიზნობრივად გაგრძელდება, მათ შორის პროფესიული განათლების სფეროში არსებული სიახლეების მუდმივი გაცნობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.3 - დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი დიპლომითა და პროფესიული გამოცდილებით. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია მისი ფუნქციები, უფლებამოსილება და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული პირობები. ინტერვიუს შედეგად ასევე დადასტურდა მისი გამოცდილება როგორც შესაბამის დარგობრივ მიმართულებით, ისე პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელობის კუთხით. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის ხელმძღვანელი და მისი საქმიანობა სათანადოდ არის რეგულირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.4 - დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

წინა ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა საჭიროებდა დამატებით უზრუნველყოფასა და პრაქტიკაში უფრო მკაფიოდ წარმოჩენას.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმით. ვიზიტის დროს შემოწმდა, რომ ყველა შესაბამისი ელექტრონული რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერში და ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლისთვის, ისე სტუდენტებისთვის. ამასთან, დადასტურდა, რომ აღნიშნული რესურსები სტუდენტებს მიეწოდებათ ფლეშ-მეხსიერების საშუალებითაც, რაც სასწავლო მასალებზე წვდომას დამატებით უზრუნველყოფს. აღნიშნული გარემოება ასევე დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგადაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.5 - დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველმყოფი პირობები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, კერძოდ მუხლი 71, არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაბამისი პროცედურები. ამასთან, მონიტორინგის ეტაპზე დადასტურდა, რომ პროგრამაზე სსსმ მოსწავლე არ ირიცხება. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საჭირო რეგულაციები და შესაბამისი მიდგომები ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.6 - დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა 2025 წლის IX–XII თვეების შესრულების ბიუჯეტი, 2026 წლის I კვარტლის ბიუჯეტი და 2026 წლის II კვარტლის საპროგნოზო ბიუჯეტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებში გათვალისწინებულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯვით ნაწილში ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის, აგრეთვე პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი ხარჯები. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ პროგრამის ფინანსური დაგეგმვა ეფუძნება პროგრამის საჭიროებებს და ქმნის მისი განხორციელების ფინანსურ საფუძველს.

ამასთან, მონიტორინგის ვიზიტის დროს ადგილზე გაცნობილ იქნა ინვენტარიზაციის დოკუმენტაციაც, რამაც დამატებით შესაძლებელი გახადა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების აღრიცხვისა და რესურსების ხელმისაწვდომობის შეფასება. ბიუჯეტური დოკუმენტაციისა და ინვენტარიზაციის დოკუმენტის ერთობლივი განხილვა ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის საკითხები დაწესებულებაში გათვალისწინებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.7 - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (პაკეტი);
- დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება- სსსმ პირების სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფის კონტექსტში;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პირადი საქმეები (ტრენინგების სერთიფიკატების ნაწილში)
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტთან ინტერვიუს შედეგები;
- შესრულების და საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 09.07.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: